საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სამრეწველოს დასახლება N334, N337ა, N336, N336ა, N332ა; ქალაქი თბილისი, გიორგი მდივნის ქუჩა N16, N20, N22; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის დასაწყისში, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.005.028; N01.17.11.005.031; N01.17.11.005.025; N01.17.11.006.045; N01.17.11.005.035; N01.17.11.005.032; N01.17.11.005.005; N01.17.11.005.034; N01.17.11.005.033; N01.17.11.005.038; N01.17.11.005.037; N01.17.11.005.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ფართობი - 24 362 კვ.მ. დაურეგისტრირებელი ტერიტორია მიახლოებით - 3 039 კვ.მ. ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა სახეობის ხე-ნარგავები. საპროექტო ტერიტორია მთვარ გზას, აკაკი ხელიაშვილის ქუჩას უკავშირდება მოსკოვის გამზირს და გ.მდივნის ქუჩას. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1); სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით, სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2). „ქალაქ თბილისში, სამრეწველოს დასახლება N334, N337ა, N336, N336ა, N332ა; ქალაქი თბილისი, გიორგი მდივნის ქუჩა N16, N20, N22; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N29თ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის დასაწყისში, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.005.028; N01.17.11.005.031; N01.17.11.005.025; N01.17.11.006.045; N01.17.11.005.035; N01.17.11.005.032; N01.17.11.005.005; N01.17.11.005.034; N01.17.11.005.033; N01.17.11.005.038; N01.17.11.005.037; N01.17.11.005.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N560 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო წინადადებით იგეგმება ტერიტორიის 1 სამშენებლო განვითარება, სადაც განთავსდება მაქსიმუმ 17 და 20 სართულიანი მრავალფუნქციური შენობა, რომლის 75% დაეთმობა საცხოვრებელ ფუქციას, ხოლო დანარჩენი 25% საოფისე/კომერციულს. სამშენებლო ტერიტორიის განვითარება იგეგმება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) რეგლამენტის შესაბამისად. ამასთანავე, არსებულ სანიაღვრე კოლექტორზე მოეწყობა მიწისქვეშა მინი ჰესები, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) გამწვანდება და დაიგეგმება კეთილმოწყობილი სივრცის მოწყობა. მოწესრიგდება საინჟინრო და საგზაო ინფრასტრუქტურა.

ნაკვეთების ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: ტერიტორიის ფართობი: 27 401 კვ.მ. არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-1(სზ-1); სატრანსპორტო ზონა-1(ტზ-1);სარეკრეაციო ზონა-2(რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიებით სარეკრეაციო ზონა-2(რზ-2). საპროექტო უფლებრივი ზონირება: გაერთიანებული ნაკვეთი N1 24 362 კვ.მ. საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-1(სზ-1) = 14 571კვ.მ კ1-0,5 კ2-3,5 = 51 000 კვ.მ კ3-0,3 75% საცხოვრებელი, 25%კომერციული ავტომანქანების მინიმალური რაოდენობა 256 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა 75მ/17-20სართ სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)= 8 305კვ.მ კ1-0,2 კ2-- კ3-0,8 რეკრეაცია და სტადიონი სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)= 1 864კვ.მ კ1-- კ2-- კ3-0,1 დარჩენილი დაურეგისტრირებელი 3039 კვ.მ.; ფუნქციური ზონა რზ-2 და ტზ-1; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 29 აპრილის N0122119556 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 4 მარტის N01221233529 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.19.21.003.163 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N61-01212923373 და N61-01212923471 წერილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორია, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში, მიენიჭოს შესაბამისი ზონირება, გამოყენებულ იქნეს არსებული საკადასტრო ერთეულების ფართის უცვლელად კორექტირების, გამწვანებული სივრცის მოწყობისთვის. ასევე, სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ სივრცეზე გავრცელდეს საპროექტო არეალი იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიის განაშენიანების პროცესში გათვალისწინებული იქნება შპს თბილსერვის ჯგუფის 2021 წლის 06 ივლისის N62-01211872110 წერილით გაცემული რეკომენდაციები (ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე გაედინება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული „დამპალოს“ D-1.9X1.4მმ და „სასაკლავოს“ D3000მმ სანიაღვრე კოლექტორები). ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სამრეწველოს დასახლება N334, N337ა, N336, N336ა, N332ა; ქალაქი თბილისი, გიორგი მდივნის ქუჩა N16, N20, N22; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N29თ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, ავტოგასამართი ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.005.028; N01.17.11.005.031; N01.17.11.005.025; N01.17.11.006.045; N01.17.11.005.035; N01.17.11.005.032; N01.17.11.005.005; N01.17.11.005.034; N01.17.11.005.033; N01.17.11.005.038; N01.17.11.005.037; N01.17.11.005.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

17. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ

მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.21.003.134; N01.19.21.003.145; N01.19.21.003.141; N01.19.21.003.154) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, სასაწყობო) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N116 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-0322124146-03 - 04.05.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.21.003.163). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი: 13650 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და მცირედ ნაწილზე, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.21.003.134; N01.19.21.003.145; N01.19.21.003.141; N01.19.21.003.154) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, სასაწყობო) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N116 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით, საპროექტოდ გათვალისწინებულია ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომელიც შედგება კომერციული ობიექტისგან და სასაწყობო სივრცეებისგან, ასევე ელ. გენერატორისთვის განკუთვნილი პატარა შენობა ნაგებობით (ჯამში 4 შენობა-ნაგებობა). იგეგმება ტერიტორიის გაერთიანება და 1 საკადასტრო ერთეულად განვითარება არსებული ფუნქციური ზონირებით (სსზ-2). არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); მცირედ ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 13 650 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,4; (5500 კვ.მ) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=1,7; (23000 კვ.მ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,2; (2730 კვ.მ) შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 3 სართული; მაქსიმალური სიმაღლე 16 მეტრი; წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით, უცვლელი რჩება ტერიტორიაზე გათვალისწინებული მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომელიც შედგება კომერციული ობიექტისგან და კომერციული შენობა ნაგებობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობებით. ასევე, ელ. გენერატორისთვის განკუთვნილი პატარა შენობა ნაგებობა. ჯამში საპროექტო წინადადებით უცვლელია შენობა-ნაგებობების რაოდენობა. კორექტირება მოიცავს ძირითადი შენობა-ნაგებობის სამხრეთ ნაწილში 20 სანტიმეტრით ჩამოწვასა და ამავე შენობის გარე კონტურის 40 სანტიმეტრით გაზრდას. ასევე, კორექტირდება კ-1-ის საანგარიშო ფართობი (მაგრამ დადგენილ კ-1 კოეფიციენტის გადაჭარბება არ მომხდარა და წარმოადგენს კ-1-0.4). იცვლება ძირითადი შენობის სიმაღლე და სართულიანობა 16 მეტრის ნაცვლად დაფიქსირდა 18

მეტრი და 3 სართულის ნაცვლად 4 სართული. ასევე, ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დამხმარე შენობა-ნაგებობის სიმაღლე 7.6 მეტრის ნაცვლად იზრდება 8 მეტრი. შეიცვალა ელ. გენერატორის მდებარეობა. საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 4 მარტის N01221233529 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.19.21.003.163 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.21.003.134; N01.19.21.003.145; N01.19.21.003.141; N01.19.21.003.154) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული,სასაწყობე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N116 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.
შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

18. ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში, "ჩალიპირებში"; ქალაქი თბილისი, სოფელი დილოში, ავთანდილის ქუჩა, N72,N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.032.816; N01.72.14.032.817; N01.72.14.032.888; N01.72.14.032.887; N01.72.14.032.889; N01.72.14.032.639; N01.72.14.032.502; N01.72.14.032.890; N01.72.14.032.261; N01.72.14.032.638; N01.72.14.032.448; N01.72.14.032.159; N01.72.14.032.161; N01.72.14.032.260; N01.72.14.032.503; N01.72.14.032.485) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0322124142-03 - 04.05.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმეძე. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში, "ჩალიპირებში"; ქალაქი თბილისი, სოფელი დილოში, ავთანდილის ქუჩა, N72,N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.032.816; N01.72.14.032.817; N01.72.14.032.888; N01.72.14.032.887; N01.72.14.032.889; N01.72.14.032.639; N01.72.14.032.502; N01.72.14.032.890; N01.72.14.032.261; N01.72.14.032.638; N01.72.14.032.448; N01.72.14.032.159; N01.72.14.032.161; N01.72.14.032.260; N01.72.14.032.503; N01.72.14.032.485). საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი: 19 863 კვ.მ. აქედან 3 618 კვ.მ. წარმოადგენს დაურეგისტრირებელ არეალს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ყველა ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით განვითარება და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. ხდება არსებული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1)

შენარჩუნება და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ვინაიდან, საპროექტო არეალში შეყვანილია 3 618 კვ.მ. დაურეგისტრირებელი ტერიტორია, ხდება აღნიშნული ფართის გადანაწილება სატრანსპორტო და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურისათვის. გამოიმიჯნება 522 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი ფუნქციით და გადაეცემა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 19 863 კვ.მ-ს, აქედან 3 618 კვ.მ. წარმოადგენს დაურეგისტრირებელ არეალს. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ჯამური ფართობი: 19 863.0 კვ.მ. საპროექტო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 21. სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფართობი დაახლოებით - 4 281 კვ.მ. კვ-0,1 საცხოვრებელი ზონა 1-ის ფართობი დაახლოებით (სზ-1) - 15 582 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი კ1-0,5 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2-0,8 გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ3-0,4 არსებული ფუნქციური ზონირება : საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ფუნქციური ზონირება : საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 29 აპრილის N01221193738 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 20 აპრილის N01221103999 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 19 აპრილის N16- 01221083853 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და გამოყენებულ იქნეს სამშენებლო განვითარების მქონე მიწის ნაკვეთის (522კვ.მ) შექმნისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, "ჩალიპირებში"; ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ავთანდილის ქუჩა, N72,N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.032.816; N01.72.14.032.817; N01.72.14.032.888; N01.72.14.032.887; N01.72.14.032.889; N01.72.14.032.639; N01.72.14.032.502; N01.72.14.032.890; N01.72.14.032.261; N01.72.14.032.638; N01.72.14.032.448; N01.72.14.032.159; N01.72.14.032.161; N01.72.14.032.260; N01.72.14.032.503; N01.72.14.032.485) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

19. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032210976-03 19.04.2022; №12-032211962-03 29.04.2022; №12-032211963-03 29.04.2022; №12-032211967-03 29.04.2022; 12-0322124110-03 - 04.05.2022; 12-0322124149-03 - 04.05.2022)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032210976-03 19.04.2022; №12-032211962-03 29.04.2022; №12-032211963-03 29.04.2022; №12-032211967-03 29.04.2022; 12-0322124110-03 - 04.05.2022; 12-0322124149-03 - 04.05.2022) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტაძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 18 წინადადება და პროექტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

№12-032210976-03 19.04.2022;

ა) ქალაქ თბილისში, თემქა, IV მ/რ, კორპუსი N7-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, ნაკვეთი N07/028; ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, IV მ/რ; ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, IV კვ, N12 საქვავეს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.03.007.073; N01.12.03.007.028; N01.12.03.007.609, N01.12.03.007.016) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ზემოაღნიშნული ტერიტორიის პრივატიზება/განკარგვას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 12 აპრილის N01221023853 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ პრეცედენტულად უკვე არსებობს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6, რომელიც თავის მხრივ გამოიცხავს ფრაგმენტული ხასიათის ცვლილებას. ასევე, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია არ არის განვითარებული სამრეწველო ფუნქციით და არც მომავალში იგეგმება აღნიშნული. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილ-რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.12.03.008.003 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი კორპუსი N7-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, ნაკვეთი N07/028; ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, IV მ/რ; ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, IV კვ, N12 საქვავეს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.03.007.073; N01.12.03.007.028; N01.12.03.007.609, N01.12.03.007.016) სამრეწველო ზონა 1-ისა და სპეციალური

ზონ 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება, N01.12.03.008.003 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, არსენას ქუჩა N9-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.20.01.020.048-ის მიმდებარე ტერიტორია) არსებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 18 აპრილის N01221081850 წერილის მიხედვით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შეთანხმების წერილები (16-0122101216, 11/04/2022; MIA 5 22 00947529, 11/04/2022). ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელზეც შემოადნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მიხედვით არ არის გათვალისწინებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ხოლო საპროექტო მონაკვეთის დარჩენილ ნაწილში სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი. შემოადნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, არსენას ქუჩა N9-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.20.01.020.048-ის მიმდებარე ტერიტორია) არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღება.

№12-032211962-03 29.04.2022;

ა) ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N215, N217-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.710, N01.72.14.007.711) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N215, N217-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.007.711 და N01.72.14.007.710) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N113 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. შემოადნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N215/ N217-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.710, N01.72.14.007.711) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.273; N81.02.01.368; N81.02.01.897) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.273; N81.02.01.368; N81.02.01.897) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N157 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.273; N81.02.01.368; N81.02.01.897) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N262ბ-შიმდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.33.805) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N160 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N262ბშიმდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.33.805) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

დ) ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა N9, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60), აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N102, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100, 100ა მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.004.121; N01.13.02.004.154; N01.13.02.004.020; N01.13.02.004.169) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა N9, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60), აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N102, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100, 100ა მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.02.004.121; N01.13.02.004.154; N01.13.02.004.020; N01.13.02.004.169) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N156 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა N9, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60), აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N102, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100, 100ა მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.004.121; N01.13.02.004.154; N01.13.02.004.020; N01.13.02.004.169) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებლ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება;

ე) ქალაქ თბილისში, ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.758, N72.16.21.759, N72.16.21.750, N72.16.21.751, N72.16.21.752, N72.16.21.753, N72.16.21.754, N72.16.21.756, N72.16.21.757, N72.16.21.749, N72.16.21.755) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქვემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.16.17.448) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N19 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N161 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.758, N72.16.21.759, N72.16.21.750, N72.16.21.751, N72.16.21.752, N72.16.21.753, N72.16.21.754, N72.16.21.756, N72.16.21.757, N72.16.21.749, N72.16.21.755) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

ვ) ქალაქ თბილისში, კათალიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა კათალიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებლ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, კათალიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებლ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N115 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კათალიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა კათალიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებლ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

ა) ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VII, კორპუსი 12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.024.030) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს არსებული ავარიული შენობის დემონტაჟი და მისი ახალი, თანამედროვე სტანდარტების კორპუსით ჩანაცვლება წარმოადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 27 აპრილის N01221171970 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარედ რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულებისთვის, პარალელური ქუჩებისთვის არსებობს რამდენიმე ალტერნატიული კავშირი, შესაბამისად, მისი გაუქმება არ მოახდენს არსებითად უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ან/და მის სამომავლო განვითარების მიზნებზე. იმავე წერილის შესაბამისად, მიზანშეწონილია გაუქმდეს მიმდებარე ქუჩებამდე დარჩენილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მონაკვეთები საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით და აღმოსავლეთით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.20.024.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 აპრილის N01221172839 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განცხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.19.20.024.030 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ აღმოსავლეთით გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე ხარვეზის სახით რჩება ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.20.024.030 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VII, კორპუსი 12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.024.030) ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N10; ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მ. ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დაღმართი საქანელა N9, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N6-ში (კაფე - ბარი გორამირი) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.15.04.004.049, N01.15.04.004.045) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსება წარმოადგენს, სადაც მოეწყობა სასურსათო სუპერმარკეტი „აგროჰაბი“, მიწისზედა პარკინგები და საფირმო კაფე/რესტორანი. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: N01.15.04.004.049, N01.15.04.004.045) ექვევს ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განამუშავების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9- 34 დადგენილების თანახმად, 2022 წლის 12 აპრილის N01221023155-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი, განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2022 წლის 18 აპრილის N17-01221083668-16 წერილი / 2022 წლის 14 აპრილის N13 ოქმი) დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N10-ში; ზვიად გამსახურდიას სანაპირო N10-ის მიმდებარედ და ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.15.04.004.049, N01.15.04.004.045) სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების საკითხს, მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ ხარვეზის სახით N01.15.04.004.047 და N01.15.04.004.006 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), აღნიშნულ საკადასტრო ერთეულების ძირითად ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ დარჩენილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.15.04.004.047 და N01.15.04.004.006 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 28 აპრილის N18-01221172960 წერილის მიხედვით, თანახმაა, საპროექტო არეალზე განხორციელდეს სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ასევე, ხარვეზის სახით საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით N01.15.04.004.039 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). აღნიშნული ხარვეზის არმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.15.04.004.039 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

კომისიაზე გამოითქვა მოსაზრება მასზე, რომ მითითებული ზონის ცვლილება, მოცულობის დაზუსტების მიზნით გადადებულ იქნა.

გ) ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.004) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ცვლილება. N01.19.26.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სამრეწველო ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელების მიზნობას წარმოადგენს საწვავის შესანახი ბაზის (ნავთობპროდუქტების ბაზა) განთავსება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 19 აპრილის N01221092663 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 20 აპრილის N01221103991 წერილის მიხედვით ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარედ რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულებისთვის, მისი გაუქმება არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას განსახილველ ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო საჭიროებებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარების კუთხით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.004) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილებას მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

დ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა N10-ის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.004.015) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრასპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 20 აპრილის N01221103990 წერილის მიხედვით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება მოთხოვნილია საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრებში, ფაქტობრივი დობის კონტურის გასწვრივ. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ერთიანი რუკის მონაცემებისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთისა და მის მიმდებარედ, ე. თაყაიშვილის ქუჩაზე, დონეთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. შესაბამისად, მოთხოვნილი კონფიგურაციით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას მიმდებარედ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობაზე. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილ-რუკაში ხარვეზის გასწორების მიზნით სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.20.01.004.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებული ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ზ-1) იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1); *კომისიაზე გამოითქვა მოსაზრება მასზე, რომ მითითებული ზონის ცვლილება, ტერიტორიულსივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებულ იქნა.*

ე) ქალაქ თბილისში, დიდი დიღომის დასახლებაში, მე-IV მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.043.283) მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საავტომობილო გზის კაპიტალურად მოწყობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 20 აპრილის N61-01221103294 წერილის მიხედვით, ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომის, IVმ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (01.72.14.043.283 საკადასტრო კოდის მიმდებარედ) გავრცელებული ფუნქციური ზონა, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრასპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 4 მარტის N16- 01220631229 წერილის მიხედვით საპროექტო მონაკვეთზე მოთხოვნილი ცვლილებით იქმნება გზათა ქსელი, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ხდება გზის მონაკვეთზე, რომელსაც ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომის დასახლებაში, მე-IV მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.043.283) მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

№12-032211967-03 29.04.2022;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 მარტის N22.394.439 განკარგულებით მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა N63, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N22ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

N01.14.05.008.398) ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა და N01.14.05.008.355 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. აღნიშნული განკარგულება კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის N03-032210889 წერილის შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილებარეკომენდაციით მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, მოხდეს ხელახალი ინიცირება და ფუნქციური ზონის ცვლილება შეეხოს მხოლოდ N01.14.05.008.398 საკადასტრო ერთეულის ნაწილს და პროექტიდან ამოღებულ იქნას N01.14.05.008.355 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა; აღნიშნულის მიზნით, ცვლილება უნდა შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 მარტის N22.394.439 განკარგულებაში და პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ა) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა N63, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N22ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.398) ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა;

№12-0322124110-03 - 04.05.2022;

ა) ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.15.01.002.013, N01.15.01.002.014) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს საპროექტო ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებასა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნას, საპროექტო არეალის პრივატიზების მიზნობრიობით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 აპრილის N01221173078 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განცხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.15.01.002.013, N01.15.01.002.014) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქ. N130-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.11.029.131) ნაწილზე მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ძირითად ნაწილზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). შესაბამისად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, მიზანშეწონილია განხორციელდეს ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქ. N130-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.11.029.131) ნაწილზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მისაღებია;

